



მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №193

2016 წლის 20 სექტემბერი

ქ. მცხეთა

მცხეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებად რეგისტრირებული, სოფელ წეროვანში მდებარე უძრავი ქონების (არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 1006.00 მ² მიწის ნაკვეთი და მასზე მდებარე შენობა-ნაგებობა №1 ს/კ №72.08.21.846), სახელმწიფოსათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის შესახებ.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 108-ე მუხლის პირველი ნაწილის, 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის, „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 59-ე მუხლისა და 61-ე მუხლის პირველი ნაწილის, მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის 2016 წლის 24 აგვისტოს №7134 მომართვისა და საკრებულოს აპარატის საორგანიზაციო განყოფილების მთავარი სპეციალისტის მაია ლომოური-გედევანიშვილის 2016 წლის 6 სექტემბრის მოხსენებითი ბარათის (5/exzec_index) საფუძველზე,

1. მცხეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებად რეგისტრირებული, სოფელ წეროვანში მდებარე უძრავი ქონება (არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 1006.00 მ² მიწის ნაკვეთი და მასზე მდებარე შენობა-ნაგებობა №1 ს/კ №72.08.21.846), გადაეცეს სახელმწიფოს უსასყიდლოდ საკუთრებაში, შემდგომში საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსათვის სარგებლობის უფლებით გადაცემის მიზნით.
2. ძალადაკარგულად იქნას გამოცხადებული „მცხეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებად რეგისტრირებული, სოფელ წეროვანში მდებარე უძრავი ქონების (არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 1006.00 მ² მიწის ნაკვეთი და მასზე მდებარე შენობა-ნაგებობა №1 ს/კ №72.08.21.846), სახელმწიფოსათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის შესახებ“ მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 31 აგვისტოს №186 განკარგულება.
3. განკარგულება ძალაშია გაცნობისთანავე.
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს მცხეთის რაიონულ სასამართლოში გაცნობიდან ერთი თვის ვადაში. მცხეთა, სამხედროს ქ №17.

საკრებულოს თავმჯდომარე



ჯემალ სოლოლაშვილი